



კარძო ვეტერინარული ღონისძიებები



იცი თუ არა, რომ ცხოველთა დაავადებები საფრთხეს უქმნიან თქვენი ოჯახის ჯანმრთელობას?

არსებობს მრავალი დაავადება, რომელიც აზიანებს თქვენი ცხოველის ჯანმრთელობას და მის პროდუქტიულობას. ვეტერინარული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენს მიერ წარმოებულ რძის და რძის პროდუქტების გაყიდვა იზღუდება. გარდა სახელმწიფო (უფასო) პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, არის რიგი დაავადებები რომლებიც აზიანებენ ცხოველის ჯანმრთელობას, მის პროდუქტიულობას და საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მათი პროფილაქტიკა კი ფერმერის მოვალეობაა.

დეფლმინტიზაცია- სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიება პარაზიტების წინააღმდეგ.

პარაზიტი არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მეორე ცოცხალი ორგანიზმის (მასპინძლის) ხარჯზე სახლდება, ცხოვრობს და მრავლდება. პარაზიტები ბუდობენ როგორც ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში, ასევე მცენარეებზეც. ხშირია პარაზიტების გადასვლა ადამიანში ცხოველთან ახლო კონტაქტის დროს. გამოყოფენ ცხოველთა შინაგან და გარეგან პარაზიტებს. შინაგან პარაზიტებში შედის ჭიები (ჰელმინთები) და უმარტივესები (მაგალითად სისხლის პარაზიტები). გარეგანი პარაზიტები კი ხშირად ხილვადი ტკიპების, ტილების, მწერების და ბუზების სახით გვხვდება.

ვაქცინაციის დასაწყისამდე ცხოველის დეჰელმინტიზაცია აუცილებელია.

პასტერელოზი ცხოველთა ინფექციური დაავადებაა. ხასიათდება ცხელებით და სისხლჩაქცევებით ცხოველის კანქვეშ და შინაგან ორგანოებზე. მსხვილ რქოსან პირუტყვს უზიანდება ნაწლავები და სასუნთქი ორგანოები, ვითარდება შეშუპება კისრისა და ყბის მიდამოში. დაავადებულ ცხოველს აღენიშნება მოღუწება, გამონადენი ცხვირიდან, კონიუქტივითი. თუ დაავადებულ ცხოველს მკურნალობა დროზე არ ჩაუტარდა იგი სწრაფად კვდება.

ემკარი (ჭრიჭინა) არის პირუტყვის მიკრობული დაავადება, რომელსაც ასევე ნიადაგოვან ინფექციასაც უწოდებენ. დაავადებას სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს და მკურნალობას არ ექვემდებარება. ძირითადი სიმპტომები ვლინდება კოჭლობით, უმადობით, ორგანიზმის ტემპერატურის მომატებით, კიდურების ტკივილით და ინფექციური კერების წარმოქმნით.

შესაძლებელია მსხვილფეხა პირუტყვის პოლივალენტური ვაქცინის შექმნა. მსგავსი ვაქცინები ემკარის და პასტერელოზის გარდა სხვა არანაკლებ საშიში დაავადებების პრევენციასაც ახდენენ, კერძოდ ისეთებს როგორებიცაა მსხვილფეხა პირუტყვის ენტეროტოქსემია და სხვა.

უმარტივესებით გავრცელებულ დაავადებათა შორის გვხვდება ციება (პიროპლაზმოზი). ამ დროს ცხოველს აღენიშნება: ტემპერატურის მომატება, ცხელება, ლორწოვანი გარსების სიყვითლე (სიყვითლე განსაკუთრებით თვალის თეთრ გარსზე და პირის ღურში შეიმჩნევა), მუქი შარდი, კანკალი. დაავადების საწყის სტადიაზე დაწყებული მკურნალობა გამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დაავადების შემთხვევაში კი შეიძლება ლეტალური შედეგი დადგეს (ცხოველის დაცემა, სიკვდილი).

წითელი ქარი ღორის ინფექციური დაავადებაა, ძირითადად მწვავედ მინდინარეობს და ცხოველის სიკვდილით მთავრდება. ბრადბოტი კი ახალშობილ, სუსტ ცხვარში მძიმედ მიმდინარეობს. გვხვდება ნიადაგში, მისი პრევენცია მხოლოდ აცრითაა შესაძლებელი.

ვეტერინარული ღონისძიების დასახელება	ცხოველის სახეობა	ღონისძიებების ჩატარების დრო													
		წლის პირველი ნახევარი						წლის მეორე ნახევარი							
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
დეჰელმინტიზაცია ორალური გზით	მ/პ; ნ/პ; ღორი; ფრინველი; ძაღლი														
დეჰელმინტიზაცია ინექციის გზით	მ/პ; ნ/პ; ღორი														
პასტერელოზის საწინააღმდეგო აცრა	მ/პ; ღორი														
ემკარის საწინააღმდეგო აცრა	მ/პ														
მკრეჭავი მუნის საწინააღმდეგო აცრა	მ/პ; ნ/პ														
პიროპლაზმოზის საწინააღმდეგო აცრა	მ/პ; ნ/პ														
აცრა წითელი ქარის წინააღმდეგ	ღორი														
ბრადბოტის საწინააღმდეგო აცრა	ნ/პ														

მ/პ-მსხვილფეხა პირუტყვი

ნ/პ-წვრილფეხა პირუტყვი

სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება ცხველთა ჯანმრთელობისა და უვნებელი პროდუქტის წარმოშობის ხელშეწყობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



მომზადებულია იმერეთის ვეტერინარულ რეგიონული ასოციაციის მიერ